ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6884690

ნომერი: AR11014693

თარიღი : 07.02.2024

გაცემის თარიღი : 15.02.2024

გაცნობის თარიღი : 15.02.2024

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეფე მირიანის ქუჩა , N 102;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ხვთისწყალობა ტურძილაძე პ/ნ 01024071400
- თბილისი დიდი დიღომი III მ/რ კორ. 10 ბ. 29

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

წარმოდგენილი ფოტოსურათების მიხედვით დგინდება , რომ უშვალოდ ფასადზე სადაც იგეგმება ბანერის განთავსება ფიქსირდება საკომუნიკაციო ნაგებობები (მილგაყვანილობა და სალომუნიკაციო ქსელების დამცავი კოლოფი) საჭიროა წარმოდგენილი იქნას აღნიშნული გაყვანილობის მესაკუთრეთა თანხმობა წარმოდგენილი ფოტომონტაჟით აბრის მოწყობასთან დაკავშირებით;

..არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი : არსებულ ფოტოსურათზე კონტურის სახით მოინიშნოს თქვენი კუთვნილი ფართის ფასადის არეალი ;

..ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი : აბრის პროცენტულობა დათვლილი იქნას არსებული აბრის ფართობების გათვალისწინებით და მათი ჯამური ფართობის მიხედვით იქნას გამოყვანილი კოეფიციენტის მაჩვენებელი . გა
ითვალისწინეთ აბრის სიგანე უნდა იყოს სუფთა სახლის აბრის ზომის , შესაბამისად , საჭიროა ზომა(სიგანე) მიეწეროს სუფთა სახლის სარეკლამო აბრასაც.

წარმოადგინეთ ფართის მესაკუთრის სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით. ვინაიდან იჯარის ხელშეკრულების ვადა აღემატება ერთ წელს იჯარა დაარეგისტრირეთ საჯარო რეესტრში.

- დაზუსტებული ინფორმაცია დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენის თაობაზე (საჭიროების შემთხვევაში) სამსახურის მიერ გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ კანონით განსაზღვრულ ვადაში .

თქვენ გეძლევათ15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ.

შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.